საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და
საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი

ჰენრი კუპრაშვილი

პირველი 45 წუთი...

მეთოდიკური მასალა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა
და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი

ჰენრი კუპრაშვილი

პირველი 45 წუთი...

მეთოდიკური მასალა

თბილისი 2020

გამოცემულია მულტი და ინტერდისციპლინური სასწავლო-სამეცნიერო პროექტის „პოლიტიკა სამსჯავროზე“ ფარგლებში

პოლიტიკის სტრუქტურულ-ფუნქციური კანონზომიერებების შესწავლამდე, საჭიროდ მიმაჩნია პირველივე ლექციის პირველი 45 წუთი დავუთმო ერთგვარ მოსამზადებელ წიაღსვლას, რათა სტუდენტმა უკეთ შეიმეცნოს ტრიადა: სამყარო – ადამიანი – პოლიტიკა. სოციალური მეცნიერებების ანალიზის სფეროში შესვლამდე ზოგადად მაინც გაეცნოს, როგორც მიკრო, ისე მაკრო სამყაროების სურათს, გაიაზროს „რთულსა“ და „მარტივს“ შორის თანაფარდობა და შესაბამისად გააცნობიეროს მათში ადამიანის ადგილი და გააკეთოს სათანადო დასკვნები.

Henri Kuprashvili

First 45 minutes...

Methodical manual

Before studying the difficult course of Political science, before introducing structural and functional regularities of Politics, we consider that the lecturer should use first 45 minutes of lecture for preparation digression, because the student should understand the triad: the world – human being – Politics. It's necessary for the future Politician to know micro and macro World's pictures and analyze the place of human being and society in it.

რედაქტორი **პროფ. ირაკლი გაბისონია**
სამართლის დოქტორი

რეცენზენტი **პროფ. ვაჟა შუბითიძე**
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი

© ჰ. კუპრაშვილი

გამომცემლობა „მერიდიანი“

ISBN 978-9941-25-802-2

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი.....4

ჭეშმარიტების ძიებაში 5

ინტერპრეტაციების სამყაროში 8

Homo sapiens – შემოქმედების მწვერვალი.....11

უსასრულობის პირისპირ.....14

„ბუნება მბრძანებელია.....20

„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს“..... 26

საფიქრალს რა გამოლევს.....30

გაკვრით ზოგიერთი საჭირბოროტო საკითხიც ანუ „ორღობის“ გადასარჩენად.....35

პოლიტოლოგიური კარიბჭე.....41

გამარჯვებულები.....45

პირთა სამიებელი.....50

შესავალი

ვიწყებთ პოლიტოლოგიის კურსს და, შესაბამისად უნდა შეგასწავლოთ პოლიტიკის სტრუქტურულ-ფუნქციური კანონზომიერებები, რამაც მთლიანობაში უნდა განავითაროს თქვენში, როგორც სტუდენტებში **დამოუკიდებელი პოლიტიკური აზროვნება და, ამასთან, გამოგიმუშავდეთ ემპირიული პოლიტიკური სიტუაციის ანალიზის, პოლიტიკური პროცესების მართვის, დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის, თანამედროვე ეტაპზე ერი-სახელმწიფოს ადგილისა და პოლიტიკური ორიენტაციის პრიორიტეტულ პრობლემებში გარკვევის უნარი.** მაგრამ სანამ უშუალოდ დავიწყებ პოლიტიკის მეცნიერების შესახებ საუბარს, მინდა ერთად გავიაზროთ, თუ „საიდან მოვდივართ“ და „სად ვართ“, შემოვსაზღვროთ ჩვენი ადგილი და შესაძლებლობანი შემეცნების უკიდეგანო სივრცეებში...

პრაქტიკამ დამანახვა, რომ ჩვენი ერთობლივი მუშაობა ნაყოფიერი იქნება. პოლიტოლოგიის მთლიანი კურსის თხუთმეტივე ლექცია ე.წ. „პი-დი-ეფ“-ის (PDF) პროგრამაშია ვიზუალიზებული (ჩემებურად ვიყენებ ე.წ. Concept mapping-ის მეთოდს), რადგან ლექციის მსვლელობის პროცესში თანაბრად უნდა იყოს ჩართული სტუდენტის გონება, მხედველობისა და სმენის ორგანოებთან ერთად. რაც შეიძლება გამორჩეს სმენას, ეკრანზე გრაფიკულად სახალისოდ გაფორმებულს თვალი დააფიქსირებს, ეს კი დამახსოვრებისა და გაცნობიერების მეტ შესაძლებლობას ქმნის.

ჭეშმარიტების ძიებაში

ჯერ კიდევ სკოლაში გვასწავლეს, რომ არსებობენ ჭეშმარიტებები, რომლებიც განხილვას არ ექვემდებარებიან. მაგალითად, ჩვენთვის ცნობილი ***პითაგორას თეორემა***, რომელიც უნდა მხოლოდ გაიგო და დაიმახსოვრო, **მაგრამ ამავე დროს, არსებობენ გარკვეულ სისტემად ჩამოყალიბებული დიდძალი ფაქტები, რომელთა არაერთგვაროვანი ინტერპრეტაციაა დასაშვები**.

ლექციებში სწორედ, ძირითადად, მათ შესახებ და ამ მიმართულებით მომიხდება თქვენი ყურადღების გამახვილება. აქედან გამომდინარეა ჩემი ამოცანაც:

ლექციის კურსის მოსმენის, ჩემთან დიალოგის და კამათის პროცესში თქვენ, სტუდენტებმა, უნდა შეძლოთ აზროვნების ლოგიკური ორგანიზება ანუ არა მარტო, რაღაცა ფაქტების გროვის დანახვა, არამედ მათდამი ჩამოგიყალიბდეთ უშუალოდ თქვენი, გააზრებული დამოკიდებულება, რომელიც იქნება სისტემური და გარკვეულად, თქვენი საკუთარი მსოფლმხედველობის მნიშვნელოვანი ნაწილი.

თქვენი ყურადღება, პირველ ყოვლისა, მინდა გავამახვილო იმ თავისებურებაზე, რითაც ჰუმანიტარული განათლება განსხვავდება საბუნებისმეტყველოსგან, სადაც მკვლევარი წყვეტს, არა მარტო იმ პრობლემებს, რომლებიც ადამიანს ეხება, არამედ საქმე აქვს უნიკალურ ობიექტთან: **საზოგადოებასთან და მის სოციალურ-პოლიტიკურ განვითარებასთან.**

ცხადია, აქ ნამდვილად გაგვიჭირდება ლაბორატორიული ცდების ჩატარება. თუმცა მოგვიწევს ლაპარაკი

პოლიტომეტრიკული თუ სხვა მეთოდების გამოყენებით სიტუაციური მოდელირების შესახებ.

იმისთვის, რომ დავინახოთ მომავლის კონტურები, არის ერთი შესაძლებლობა – უნდა ჩაიხედო საზოგადოების პოლიტიკური განვითარების პროცესებში, მაგრამ გამოყენება მოგიწევს არა კანონების, როგორც ეს ფიზიკაშია, არამედ, ამ შემთხვევაში, ანალოგიებისა.

ვიმეორებ: **საზოგადოებრივ ცხოვრებაში არ არის ნიუტონის კანონები და პითაგორას თეორემა. მაგრამ არსებობენ ტენდენციები. ჩვენ უნდა ვისწავლოთ მათი დანახვა, გამოვლენა, განზოგადება.**

ამასთან, კარგად უნდა გავაცნობიეროთ, რომ **ადამიანი,** პირველ ყოვლისა, **არის ბუნების განუყოფელი ნაწილი** და ჩვენც უნდა მივყვეთ ბუნების კანონებს, მის ლოგიკას. კარგად უნდა გავაცნობიეროთ, რომ **ამ ლოგიკის დარღვევა** შეიძლება კატასტროფულიც კი აღმოჩნდეს საზოგადოებისთვის.

სხვა ცოცხალ არსებებთან შედარებით, დედამიწაზე ადამიანებმა მოვიპოვეთ გარკვეული უპირატესობები. ამან „ყველაფრის შემძლეობისა“ და „დაუსჯელობის“ ერთგვარი სინდრომი გააჩინა, რის გამოც ხშირად ვმოქმედებთ გაუაზრებლად, ისე, თითქოს, მართლაც სამყაროს ბატონ-პატრონები ვიყოთ. არ უნდა დაგვავიწდეს იმის გაცნობიერება, რომ **ბუნების კანონებთან ურთიერთობაში** „გადამლაშება“ არ შეიძლება. ადამიანს გააჩნია ნების გამოვლენის თავისუფლება, რასაც შეუძლია უზრუნველყოს მისთვის შესანიშნავი მომავალი, მაგრამ, ამავე დროს, შეიძლება კატასტროფის წინაშეც დააყენოს.



პითაგორა (ძვ. წ. 580 - 500), ბერძენი
მათემატიკოსი და ფილოსოფოსი

პითაგორას თეორემას შინაარსი უშუალოდ არ უკავშირდება ლექციას, მაგრამ გახსენებითაც არაფერი დაშავდება:

ნებისმიერ მართკუთხა სამკუთხედში, კვადრატის ფართობი, რომლის გვერდი ჰიპოტენუზის ტოლია, უდრის დანარჩენ ორ გვერდზე მდებარე კვადრატთა ფართობების ჯამს.

ეს დუალიზმი, ეს წინააღმდეგობრიობა მნიშვნელოვანია ზოგადად ჰუმანიტარული მეცნიერების დედაარსში – **მეცნიერებისა ადამიანის შესახებ, მისი ბუნებაში ქცევის, მისი რეაქციების არაერთმნიშვნელობის, გონივრულობის არსის შესახებ**.

ინტერპრეტაციების სამყაროში

დიდი მნიშვნელობა აქვს ინტერპრეტაციებს შორის სხვაობას. ამ განსხვავებულობის არ უნდა გვეშინოდეს. ის გვეხმარება **შევხედოთ საგანს სხვადასხვა მხრიდან**. ჩემი ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაც ხომ ესაა: შევძლო შეგიყვანოთ ინტერპრეტაციების სამყაროში.

თქვენ აღარა ხართ სკოლის მოსწავლეები, თქვენ უკვე „დიდები“ ხართ და თქვენი სააზროვნო აპარატიც უფრო ფართოა. სხვათა შორის, მე და ჩემი თაობა ვიყავით მოსწავლენი იმ სკოლისა, სადაც საბჭოური რუსულ-პრუსიული განათლების სისტემა ასწავლიდა ბავშვებს „ჭეშმარიტებების“ დაზეპირებას. თქვენთვის, თანამედროვე სტუდენტებისთვის ასეთი რამ (დაზეპირება და შემდეგ დავიწყება), არ უნდა იყოს მისაღები.

მინდა გავიხსენო ერთი შემთხვევა, რომელიც გასული საუკუნის 70-იან წლებში მოხდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ***შოთა რუსთაველის* „ვეფხისტყაოსნის“ ახლებურ გააზრებას** მიეძღვნა მოხსენება, რომელიც გააკეთა ქართველმა ფილოსოფოსმა, პროფესორმა ***ვენორი ქვაჩახიამ***.

მოგეხსენებათ, რომ „ვეფხისტყაოსნის“, მისი სიუჟეტის, პერსონაჟების შესახებ **დღესაც მკვეთრად ჩამოყალიბებული სტერეოტიპია შექმნილი** და, ცხადია, მაშინაც **ინტერპრეტაციების გარეშე,** მხოლოდ **ამ სტერეოტიპების ჩარჩოებში** მიეწოდებოდა საზოგადოებას, მის მიხედვით ასწავლიდნენ სკოლაშიც.

იმ დღეს, ***ვ. ქვაჩახიამ*** ყველაფერი თავდაყირა დააყენა, **სრულიად ახალი ინტერპრეტაციით წარმოადგინა ფილოლოგების მიერ ყველასათვის ესოდენ „კარგად გარჩეული“ ნაწარმოები**. ამ ფაქტმა დარბაზში მსხდომი ფილოლოგების უკმაყოფილება გამოიწვია, რომელთაც „ვეფხისტყაოსნის“ „გარჩევაში“ მანამდე არსებული ერთგვარი იდილია დაურღვია „ვიღაც ფილოსოფოსმა“ ქვაჩახიამ.

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვობიდან მომდევდა სხვაგვარად აზროვნება და თავიც პატრიოტული, ანტისაბჭოთა და დისიდენტური აზრებით მქონდა „გამოტენილი“, ამ ლექციამ ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა.

კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ **თურმე თვით „ვეფხისტყაოსანსაც“ კი შეიძლება შეხედო სხვადასხვა მხრიდან, გქონდეს საკუთარი აზრი, საკუთარი ხედვა, საკუთარი ინტერპრეტაცია**.

ჩემთვის სწორედ, ამაში იყო ***ვ. ქვაჩახიას*** წაკითხული ლექციის არსი – იმ სახელმწიფოში, იმ დროსა და პირობებში, როდესაც სხვაგვარად აზროვნება, მოვლენებისა და საგნებისადმი საკუთარი აზრის ქონა აკრძალული იყო და სადაც ყველაფერი რეგულირდებოდა კრემლის მიერ დადგენილ ნორმებსა და ჩარჩოებში.



შოთა რუსთაველი
მე-12 საუკუნის დიდი ქართველი პოეტი და მოაზროვნე,
პოემა „ვეფხისტყაოსანის“ ავტორი
(ფრესკა იერუსალიმის ჯვრის მონასტრიდან)

მოკლედ, ჩვენი ერთობლივი ამოცანაა: **არა დაზეპირება, არამედ გაცნობიერება, მსჯელობა, „სხვაგვარად აზროვნება“, აზროვნების „აპარატის ამუშავება“, „ტვინის განძრევა“...**

HOMO SAPIENS – შემოქმედების მწვერვალი (სისტემური მართვის ნიმუში)

ჩვენ ვიცით, რომ ადამიანი განეკუთვნება ადამიანთა მოდგმას, პრიმატების ოჯახიდანაა და ჰომინიდების ჯგუფის წარმომადგენელია. იგი მოაზროვნე ცხოველია, მას შეარქვეს „გონიერი ადამიანი“ (ლათ. Homo sapiens).

ჩვენი პლანეტის ფლორა-ფაუნაში ყველა ცოცხალი არსების (ცხოველი, ფრინველი, მცენარე და სხვ.) მსგავსად ადამიანის ორგანიზმიც არის შემოქმედების სრულყოფილი ქმნილება (აგებულება, სტრუქტურა, ცხოველქმედება...). სისტემური მართვის უნიკალური ნიმუში.

იგი **მილიარდობით** პაწაწინა უჯრედისაგან შედგება, რომლებიც თავიანთი მხრივ წარმოადგენენ საოცარ მიკრო სამყაროებს. თითოეული უჯრედი არის გარკვეული სისტემის ნაწილი და მუშაობს, როგორც სრულყოფილი სისტემური მექანიზმი.

ერთი კონკრეტული სახის უჯრედები ქსოვილს ქმნიან, ხოლო სხვადასხვა ქსოვილი - ორგანოებს, მაგალითად, გულსა და ფილტვებს. ორგანოთა ზოგიერთი ჯგუფი ასევე სისტემებად ერთიანდება, რადგან საერთო ფუნქციას ასრულებს. ადამიანის ორგანიზმი არის სისტემური მართვის ნიმუში.

მაგალითად, ვიცით, რომ ადამიანის ორგანიზმში ასეთი რვა ძირითადი სისტემაა და რვავე ცალ-ცალკე და ერთიან სისტემაშიც გენიალური, ადამიანის გონებისთვის მიუწვდომელი სრულქმნილებაა: საყრდენი სისტემა შედგება ძვლებისა და სახსრებისაგან, რაც ორგანიზმის რბილი ნაწილების საყრდენია და კუნთები ემაგრება; **მამოძრავებელი**

მოაზროვნე (ფრანგ. Le Penseur) — **ფრანსუა როდენის** ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი

სისტემა კუნთებია, რომლებიც კიდურებსა და სხეულის სხვა ორგანოებს ამოძრავებს; **საჭმლის მომნელებელი სისტემა** საკვებს შლის და ათხევადებს. აქედან საკვები ნივთიერებები სისხლში გადადის; **გამომყოფი სისტემა** ორგანიზმს ნარჩენებისაგან ათავისუფლებს. იგი თირკმელებისა და შარდის ბუშტისაგან შედგება; **სასულე (ტრაქეა) და**

ფილტვები სასუნთქ სისტემას შეადგენს. მისი საშუალებით შევისუნთქავთ ჟანგბადს, რომელსაც ჩვენი ორგანიზმი საკვებისაგან ენერგიის მისაღებად იყენებს; **სისხლის მიმოქცების სისტემა** გულს, სისხლძარღვებსა და სისხლს მოიცავს. სისხლი საკვები ნივთიერებებითა და ჟანგბადით ამარაგებს მთელ სხეულს და ნარჩენები გამოაქვს; **ნერვული სისტემა** თავისა და ზურგის ტვინისა და მრავალრიცხოვანი ნერვისაგან შედგება. იგი სხეულში მითითებებისა და სიგნალების გადაცემის საშუალებაა; **ქალისა და მამაკაცის რეპროდუქციური სისტემები** ადამიანის გამრავლებას უზრუნველყოფს.

როგორც აღინიშნა, ცალკე აღებული **თითოეული ეს ქვესისტემა და მისი მუშაობის მექანიზმი** არის ერთიანი **სისტემისა და ტვინიდან სისტემური მართვის წარმოუდ-გენელი სრულყოფილების ნიმუში**. ტვინის ფუნქციაა: "მიიღოს და გადაამუშაოს ინფორმაცია, გასცეს გარემო პირობებთან ორგანიზმის შეგუების შესაბამისი ბრძანებები. ამასთან, ნერვული რეგულაციების საშუალებით ორგანოთა და უჯრედთა მუშაობა უზრუნველყოს. ტვინი ის ორგანოა, რომელშიც ყოველ 1 წუთში 25 გიგაბაიტი ინფორმაცია დაშიფრული სახით შედის. მთელი დღის განმავლობაში 1 ადამიანის თავის ტვინში შედის იმდენი ინფორმაცია, რაც დედამიწაზე ყველა ციფრული მოწყობილობის, ტელეფონის, სატელიტის, რადიომოწყობილობის მიერ გაცემულ ინფორ-მაციათა ჯამის ტოლია."[1] ადამიანები ცდილობენ შექმნან

[1] დავითაია ზაზა. რამაზ ხეცურიანი: ტვინს გააჩნია ისეთი შესაძლებლობები, რაც ევოლუციის შედეგი არ უნდა იყოს!

მანქანები, რობოტები და სხვ. მაგრამ ასეთი სრულყოფილება მიუღწევადია. მოკლედ, ეს სხვა რთული თემაა, თუმცა ჩაფიქრება გვმართებს...

ჰომო საპიენსის, ამ საოცარი ფენომენის, **აზროვნების** შესაძლებლობები, მასშტაბები კი საერთოდ განუსაზღვრელია. როგორც ზემოთ ავღნიშნე, მინდა, რომ თქვენი აზროვნება არ იყოს შეზღუდული ჩარჩოებით, დოგმებით, სტერეოტიპებით...

მიმაჩნია, რომ სტუდენტი, მით უმეტეს მომავალი პოლიტოლოგი, **აუცილებელია „ფართოდ გახელილი თვალებით“ გაეცნოს, როგორც მიკრო, ისე მაკრო სამყაროს სურათს, გაარკვიოს ადამიანის ადგილი ამ სამყაროებთან მიმართებაში**. სხვა შემთხვევაში ჩვენი აზროვნების სივრცე, ხედვის ჰორიზონტი იქნება მეტად შეზღუდული.

უსასრულობის პირისპირ

იბადება მრავალი კითხვა, მათ შორის, დიდი ნაწილი ჯერჯერობით პასუხგაუცემელი რჩება. მაგრამ მაინც უნდა შევეცადოთ ჩვენი ადგილის მოძებნა ამ სამყაროში.

ცნობილია, რომ **სამყარო წარმოადგენს გარკვეულ სისტემას**, ანუ **ერთმანეთთან დაკავშირებული ელემენტების**

ქართული აზრი. 25 ივლისი. 2018.
http://qartuliazri.reportiori.ge/inside.php?menuid=48&id=25867 ნანახია 19.10.2019.



მზის სისტემა

სისტემას. თავის მხრივ, ეს სისტემა მრავალ მილიარ-

დობით გალაქტიკას მოიცავს.

გალაქტიკა არის **ვარსკვლავების, ვარსკვლავთშორისი ხილული და უჩინარი მატერიების დიდი სისტემა**, რომელიც გრავიტაციული ზემოქმედებით უკავშირდება ერთმანეთს.

ჩვეულებრივ **გალაქტიკაში შედის 10 მილიონიდან რამდენიმე ტრილიონამდე ვარსკვლავი**. გალაქტიკების დიდი ნაწილი შედგება პატარა ვარსკვლავური სისტემებისგან. როგორც წესი, გალაქტიკის დიამეტრი ათი ათასიდან ასი ათას სინათლის წლამდე მერყეობს. გალაქტიკის მასის დაახლოებით 90% უცნობ შავ მატერიაზე მოდის, ეს კომპონენტი ჯერჯერობით შეუსწავლელია. არსებობს თვალსაზრისი, რომ გალაქტიკის ცენტრში შავი ხვრელი მდებარეობს. მიიჩნევენ, რომ სამყაროში სავარაუდოდ ტრილიონამდე გალაქტიკაა. არსებობს სამი სახის გალაქტიკა: ელიფსური, სპირალური და არასწორი.

ამ მილიარდობით გალაქტიკას შორისაა ჩვენი პატარა



მტვერი მიკროსკოპში

ირმის ნახტომის გალაქტიკა (Milky Way), **ასევე ჩვენი ერთი ბეწო მზის სისტემა, დედამიწა და ადამიანიც.**

ჩვენ სამყაროში იმდენად მცირე ნაწილს ვიკავებთ, რომ ეს ადამიანის გონებისთვის ფაქტობრივად წარმოუდგენელია. უკეთ რომ გავიგოთ, შევადაროთ, მაგალითად, ჩვენი ირმის ნახტომის გალაქტიკა ფეხბურთის მოედნის ზომაზე რომ შემცირდეს, მაშინ დედამიწა მასთან შედარებით ერთი შეუმჩნეველი მტვრის ნამცეცი იქნებოდა. ან დედამიწა, რომ გახდეს პატარა მონეტის ხელა, მაშინ ირმის ნახტომის გალაქტიკის დიამეტრი გახდება ორი ათასი კილომეტრი.

ცხადია (თუ შევძლებთ მასშტაბების წარმოდგენას), რომ **ადამიანს, როგორც სისტემის ყოვლად წარმოუდგენელ მცირე ნაწილაკს, შეუძლია სისტემის შესახებ ინფორმაციის მიღება და მისი შესწავლა მხოლოდ სისტემის შიგნიდან, ანუ მხოლოდ იმ განაპირამდე, სადამდეც ხელი (გონება) მიუწვდება**.

შესაბამისად, **ადამიანებს ძალუძთ მოიპოვონ ინფორმაცია და ჩასწვდნენ სამყაროს თვისებების მხოლოდ რაღაცა ნაწილს**.

რა დონეზეც არ უნდა განვავითაროთ მეცნიერება, ჩვენთვის შიგნიდან იქნება ხელმისაწვდომი და შეგვეძლება სამყაროს შესახებ მხოლოდ მცირე (ისიც სუბიექტური) ინფორმაციის მოპოვება, ანუ **ჩვენ გვექნება მონაცემები უსასრულო სიმრავლიდან მხოლოდ და მხოლოდ, რაღაცა ნაწილაკის შესახებ**.[2]

---

[2] ოქროს ფირფიტა, რომელზეც ქართული ხალხური სიმღერა „ჩაკრულო" არის ჩაწერილი, 1977 წელს გაშვებულმა კოსმოსურმა

ამავე მიზეზით, გასაგებია, რომ **ადამიანისათვის მიუღწევადია აბსოლუტური ინფორმაცია, რომელიც მიღწევადი შეიძლება იყოს მხოლოდ აბსოლუტური დამკვირებლისთვის** (სამყაროს შემოქმედისთვის, არსთგამრიგესათვის, ღმერთისათვის...). ასევე, ძნელია ილაპარაკო **აბსოლუტური ცოდნის ქონებაზე, რადგანაც ის გააჩნია მხოლოდ აბსოლუტურ დამკვირებელს**.

ჩვენ სინამდვილეში, უბრალოდ, **მეცნიერების განვითარებასთან ერთად ხდება ადამიანების მიერ ცდისეული ცოდნისთვის ხელმისაწვდომი საზღვრების გაფართოება**.

ნებისმიერი მატერია (ობიექტი, სხეული) სუბატომური ნაწილაკიდან დაწყებული და დამთავრებული მთლიანად მეტასამყაროთი წარმოადგენს **ურთიერთდაკავშირებული ქვესისტემების სისტემას**.

უწყვეტი მოძრაობის შედეგად (სივრცეში გადაადგილება, ურთიერთზემოქმედება და დროში განვითარება) იცვლება მატერიის მდგომარეობა. მატერიის სისტემის (მისი

ხომალდმა „ვოიჯერმა" მზის სისტემა 2013 წლის სექტემბრში დატოვა და ვარსკვლავთაშორის სივრცეში გადავიდა. „ვოიჯერი" ადამიანის ხელით დამზადებული პირველი ობიექტია, რომელიც მზის სისტემიდან გავიდა, სადაც დაახლოებით 19 მილიარდი კილომეტრი იფრინა. ხომალდი დედამიწაზე ინფორმაციის გამოგზავნას აგრძელებს და დედამიწის შესახებ მოცულობითი ინფორმაციაც დააქვს თან, იმ შემთხვევისთვის, თუკი მას ვინმე, სადმე, როდესმე იპოვის. სპილენძით დამზადებული ფირფიტა გარედან ოქროთია დაფარული და სწორედ ამიტომ უწოდებენ „ოქროს ჩანაწერს" (Golden Record). სხვათა შორის, მასში ჩაწერილია, ქართული ხალხური სიმღერა „ჩაკრულო"...

ნებისმიერ სხვა პლანეტარულ სისტემამდე მისაღწევად ხომალდს დაახლოებით 40 ათასი წელი დასჭირდება.



ირმის წახტომის გალაქტიკა, რომელიც 13 მილიარდი წლისაა, სიდიდით არ გამოირჩევა, მასში 400 მილიარდი ვარსკვლავია, მათ შორის, ჩვენი მზე ერთ-ერთია. გალაქტიკის დიამეტრი 100 ათასი სინათლის

ყველა ქვესისტემის) მდგომარეობათა სიმრავლე წარმოადგენს **თავისთავად ინფორმაციას** სიტემის შესახებ.

სტრუქტურულობის თვისების განუსაზღვრელობისა და უსასრულობის ძალით, **თავისთავადი ინფორმაციის რაოდენობა უსასრულოა ნებისმიერ მატერიალურ სხეულში**.

<u>**შესაბამისად ჩვენს წინ და ირგვლივ – შეუცნობელი სამყაროსა და აბსოლუტური ინფორმაციის ხელმიუწვდომლობის უსასრულობაა**</u>...

უკვე აქ ჩნდება სხვადასხვა ჰიპოტეზა, მათ შორის, პირველსაწყისი აფეთქების შესახებ, ჰიპოტეზა სამყაროს შექმნის (ღმერთის) და სხვა.

„ბუნება მბრძანებელია...“

არ იქნება ურიგო თუ გავეცნობით ფრანგი ასტრონომის ***კამილ ფლამარიონის*** (Nicolas Camille Flammarion - 1842 – 1925) შეხედულებებს სამყაროს შესახებ, უდავოდ დაგვეხმარება „სააზროვნო აპარატის“ პასიური მდგომარეობიდან გამოყვანაში: რასაც სამყაროში ვხედავთ და აღვიქვამთ, მთლად ისე არაა ყველაფერი, უფრო გვეჩვენება და სინამდვილე სხვაგვარია. მაგალითად, გვეჩვენება, რომ მზე ჩვენს ირგვლივ ბრუნავს - დილას ამოდის და საღამოს ჩადის, დედამიწა კი, რომელზეც ვცხოვრობთ, უძრავია. სინამდვილეში კი პირიქითაა: ჩვენ მბრუნავ სფეროზე ვცხოვრობთ, რომელიც ზარბაზნიდან გატყორცნილ ყუმბარაზე სწრაფად მიექანება სივრცეში...

სიამოვნებით ვუსმენთ ხოლმე მომაჯადოებელ ჰანგებს, მაგრამ ეს ჰანგები სინამდვილეში არც კი არსებობს; ისინი

სხვა არაფერია, თუ არა შეგრძნება, რომელსაც ჰაერის განსაზღვრული ამპლიტუდისა და სიხშირის რხევა იწვევს, რხევა, რომელსაც თავისთავად არანაირი ხმა არა აქვს. რომ არ გვქონოდა სმენის ნერვი და ტვინი, არ გვეცოდინებოდა, რა არის ხმა, რადგან სინამდვილეში ეს მხოლოდ მოძრაობაა.

ვუყურებთ ფერთა საოცარ პალიტრას: ცისარტყელას, მწვანე მდელოებს და ოქროსფერ ყანებს... მაგრამ სინამდვილეში ეს ფერები არ არსებობს. თვით სინათლეც კი ილუზიაა! არის მხოლოდ ტალღები, რომლებიც მხედველობის ნერვზე მოქმედებს.

კამილ ფლამარიონი

ყველაფერი, რასაც ვხედავთ, მოჩვენებაა. მზე ათბობს, ცეცხლი წვავს... სინამდვილეში ეს მხოლოდ შეგრძნებაა. სითბო, ისევე როგორც სინათლე, სხვა არაფერია, თუ არა მოძრაობის განსაზღვრული ფორმა...

ჩვენ ახლა სახლში ვიმყოფებით. ჩვენს ირგვლივ ყველაფერი - კედლები, ჭერი, იატაკი, ავეჯი - შედგება ნაწილაკებისგან, რომლებიც ერთმანეთს არ ეხება, გამუდმებით მოძრაობს და ერთიმეორის ირგვლივ ბრუნავს. ასეთივეა ჩვენი სხეულიც. ეს ცეცხლია, რომელიც ჩაუქრობლად ანთია და მუდამ განახლების პროცესშია. ის მდინარესაც წააგავს: დგახარ ნაპირზე და თითქოს ერთსა და იმავე წყალს უყურებ, ის კი მიედინება და ყოველ წამს იცვლება.

ჩვენი სისხლის ყოველი ბურთულა ხომ მთელი სამ-ყაროა და ერთ კუბურ მილიმეტრში ხუთი მილიონი ასეთი სამყაროა მოთავსებული. ჩვენს ვენებსა და არტერიებში, მთელ სხეულში ყველაფერი შეუსვენებლად მოძრაობს; ტვინი, თვალები, ნერვები, სისხლი და ხორცი გამუდმებით ახლდება და ეს იმდენად სწრაფად ხდება, რომ რამდენიმე თვეში სხეულს ერთი უჯრედიც კი აღარ რჩება ძველი.

ქინძისთავის თავი 8X1021-მდე ატომს [3] შეიცავს. იცით, ეს რას ნიშნავს? - ამ რიცხვს ყოველ წამს თითო მილიონიც რომ გამოვაკლოთ, თვლა 253 ათასი წელი გაგრძელდება. ასე რომ, წყლის წვეთსა თუ ქინძისთავის ნამცეცა თავში გაცილებით მეტი ნაწილაკია, ვიდრე ხილულ ცაზე - ვარსკვლავი, თუნდაც ისინი ყველაზე ძლიერი ტელესკოპით დავითვალოთ. შუალედები კი, რომლებიც ამ ატომებს ერთმანეთს აცილებს, მათზე გაცილებით დიდია.

მაშ, რა აკავებს დედამიწას ამ უსასრულო სიცა-რიელეში, რა აკავებს მზეს და ყველა სხვა ციურ სხეულს? რას უჭირავს ორ კედელს შორის გადებული რკინის ძელი, რომელზეც მალე ახალი სართული დაშენდება? რა უნარჩუნებს ფორმას ყველა სხეულს?

მთელი ეს უკიდეგანო სამყარო, ყოველი საგანი, ყოველი ცოცხალი არსება, ყველაფერი, რასაც ჩვენს ირგვლივ

---

[3] ყველა ნივთიერება შედგება მცირე ზომის ნაწილაკებისგან, რომელთაც ატომები ეწოდებათ. ბუნებაში დაახლოებით 100 ტიპის ატომი არსებობს და მათთგან არის წარმოქმნილი ყველაფერი ჩვენს გარშემო. ატომის შემადგენლობაში შედის მცირე ზომის ნაწილა-კები: პროტონები, ნეიტრონები და ელექტრონები.

არის, რასაც ვხედავთ და ვერ ვხედავთ, უხილავი და უწონო ატომებისგან შედგება.

სამყარო ხორცშესხმული დინამიზმია, ამ სამყაროს სული კი შემოქმედია (ღმერთია), ჩვენთვის შეუცნობელი...

როგორც სული ამოძრავებს სხეულს, ზუსტად ისევე



ატომის შიგნით: ბირთვი, ელექტრონები, ორბიტა

ამოძრავებს სამყაროს ეს მიუწვდომელი არსება! სამყაროს შექმნის წმინდა მექანიკური თეორია ვერასოდეს დააკმაყოფილებს მკვლევარსა და მოაზროვნეს, რომელიც ამ ყოველივეს სიღრმისეულ არსში ჩაწვდომას ცდილობს. მატერიის შესწავლას მივყავართ საბოლოოდ უხილავ

ატომთან, რომელიც თავის მხრივ უსასრულოდ შეიძლება დანაწევრდეს.

ადამიანური გრძნობების ნდობა არ შეიძლება: ჩვენს თავზე დღისითაც იმდენივე ვარსკვლავია, რამდენიც ღამით, მაგრამ დღისით მათ ვერ ვხედავთ.

ბუნებაში არც ასტრონომია არსებობს, არც ფიზიკა, არც ქიმია და არც მექანიკა; ეს ყველაფერი მხოლოდ შემეცნების ჩვენთვის მისაწვდომი საშუალებებია. სამყარო ერთიან, განუყოფელ მთლიანობას წარმოადგენს. უსასრულოდ დიდი და უსასრულოდ მცირე აქ ერთი და იგივეა; სივრცე შეიძლება იყოს უსასრულო, მაგრამ არ იყოს დიდი, დრო შეიძლება იყოს მარადიული, მაგრამ არ მიედინებოდეს... არსებითად, ერთი და იგივეა ვარსკვლავები და ატომებიც.

სამყაროს ერთიანობას ის უხილავი, უწონო, არამატერიალური ძალა ქმნის, რომელსაც ატომები მოძრაობაში მოჰყავს. ატომის მოძრაობა რომ შეწყდეს, სამყარო გაჩერდება. დედამიწა მზის ირგვლივ ბრუნავს, მზე რომელიღაც ვარსკვლავური ფოკუსისკენ მიისწრაფვის, რომელიც თავადაც გადაადგილდება სივრცეში. მილიონობით, მილიარდობით მზე მიჰქრის სივრცეში ჭურვზე სწრაფად - ყოველი მათგანი მარადიულ სიცარიელეში დღე-ღამეში ათი, ოცი, ოცდაათი მილიონი კილომეტრი სიჩქარით მიისწრაფის რაღაც მიზნისკენ, რომელიც ყოველი მზისთვის, პლანეტისთვის, თანამგზავრისთვის, სივრცეში უგზოუკვლოდ მოხეტიალე კომეტისთვის საერთოა... რაც უფრო ვუახლოვდებით სიმძიმის ცენტრს, უძრავ წერტილს, რომელსაც ადამიანის ცოდნას მოწყურებული გონება ეძიებს,



მით უფრო გვშორდება იგი და სინამდვილეში, ალბათ, არც კი არსებობს... ატომები, რომელთაგანაც შედგება ყოველი სხეული, საკუთარ ზომებთან შედარებით ისევე სწრაფად მოძრაობენ, როგორც ციური მნათობები. მოძრაობა მართავს ყველაფერს, მოძრაობაა ყველაფერი.

თვით ატომიც კი არაა ინერტული ნივთიერება; იგი ძალის ცენტრია. ის, რაც ადამიანის აგებულების არსს წარმოადგენს, წყალბადთან, ჟანგბადსა და აზოტთან ნახშირბადის სასწაულმოქმედი და სიცოცხლის მომნიჭებელი ნაერთები კი არ არის, არამედ სულიერი, უხილავი, უნივთო ძალა. მხოლოდ ის აჯგუფებს, აძლევს მიმართულებას და აიძულებს ურთიერთკავშირის შენარჩუნებას იმ უთვალავ ატომს, რომლებიც ცოცხალი ორგანიზმის საოცარ ჰარმონიას ქმნიან.

ძალიან ბევრი დრო ხომ არ დავუთმე ფლამარიონის ნააზრევს? არა მგონია თქვენ ამან დაგაბნიოთ, საფიქრალს კი გაგიჩენთ.

ახლა ვაჟა–ფშაველას, ჩვენ გენიოს პოეტსაც,[4] მოვუსმინოთ:

„ბუნება მბრძანებელია, იგივ მონაა თავისა, ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს, ზოგჯერ მქნელია ავისა; ერთფერად მტვირთველი არის საქმის თეთრის და შავისა; საცა პირიმზეს

[4] ვაჟა-ფშაველა (ლუკა რაზიკაშვილი, 1862-1915). ქართული ლიტერატურის კლასიკოსი, პოეტი, მწერალი.

ახარებს, იქვე მთხრელია ზვავისა... მაინც-კი ლამაზი არის, მაინც სიტურფით ჰყვავისა!..“

„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს...“

ადამიანებს მითების გარეშე ცხოვრება არ შეუძლიათ... **მაგრამ სწორედ ასეთი აზროვნება, ასეთი მსჯელობანი უკიდურესად მნიშვნელოვანია ჩვენი განვითარებისთვის**.

სწორედ ასეთი აზროვნებაში და ასეთი მსჯელობებით იბადება მეცნიერება, როგორც ემპირიული მონაცემების, მრავალწლიანი გამოცდილების და აზროვნების შედეგი, რომელიც გვეხმარება **გავიაზროთ ემპირია და შემეცნების ძალები მივმართოთ, ჯერ კიდევ შეუცნობელის მიმართულებით...**

...ამასთან, შეუცნობელი სამყაროსა და აბსოლუტური ინფორმაციის ხელმიუწვდომლობის **მიუხედავად, ამ შედარებითი ცოდნის ჩარჩოებშიც კი პესიმიზმს არ უნდა მივეცეთ, ჩვენ უნდა ვიცხოვროთ და ვიმოქმედოთ.**

არ შეიძლება, რომ აქ არ გავიხსენოთ პოეტ ***ნიკოლოზ ბარათაშვილის*** [5] (1817-1845) ცნობილი ლექსი „ფიქრნი

---

[5] ნიკოლოზ ბარათაშვილის (1817-1845) პოეზია ქართული რომანტიზმის მწვერვალია. ილია ჭავჭავაძის აზრით, ბარათაშვი-

მტკვრის პირზედ“, რომელშიც პოეტი სიღრმისეულად ხატავს ადამიანისა და სამყაროს ურთიერთკავშირის ფილოსოფიურ სურათს და ლექსს ამთავრებს გენიალური სტრიქონებით: „მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან - შვილნი სოფლისა, უნდა კიდეცა მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა. არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს!“

ამ გენიალურ სიტყვებს თავისი შემოქმედებით ეხმიანება ქართველი გენიოსის ვაჟა-ფშაველას გენიალური შემოქმედება სამყაროს მამოძრავებელი ძალების, ბუნების „იდუმალი ენის“ წვდომის დაუცხრომელი წადილით, სინამდვილის მატერიალისტური აღქმით, ქვეყნიერების, „უთვალავ ფერთა“ მთლიანად დანახვისა და წარმოსახვის უნარით.

ცხადია, ჩვენი ამოცანაა **იმგვარად ვისწავლოთ ამ შედარებითი ცოდნის გამოყენება, რომ შევძლოთ ადამიანის მომავლის უზრუნველყოფა**.

ერთი მხრივ, უნდა ეჭვი შევიტანოთ და თან ვეძებოთ ახალი ფორმულირებები და ინტერპრეტაციები, ხოლო **მეორე მხრივ**, გვჯეროდეს ჩვენი გამოცდილების, იმ ემპირიული განზოგადებების, რამაც წარმოქმნა ჩვენი თანამედროვე მსოფლმხედველობა.

ამ ჰიპოტეზების შესახებ უნდა ვისაუბროთ, მაგრამ **სწორედ როგორც ჰიპოტეზების შესახებ**. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ყველაფერი ჯერ მხოლოდ ჰიპოტეზებია, თუმცა მათ-

---

ლის შემოქმედება მოასწავებს ევროპეიზმის დამკვიდრებას ქართულ მწერლობაში.

ნილს ბორი
(Niels Bohr,1885-1962)
დანიელი ფიზიკოსი,
თანამედროვე ფიზიკის
ერთ–ერთი ფუძემდებელი.
ნობელის პრემიის
ლაურეატი ფიზიკაში.

ნილს ბორი ციტატები:

- "გაზომვამდე არაფერი არსებობს."
- "თქვენი თეორია სიგიჟეა, თუმცა არც იმდენად, რომ ჭეშმარიტება იყოს."
- "რა შესანიშნავია, რომ პარადოქსს შევხვდით. ახლა შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ წინ წავიწევთ!"
- "ძალიან ძნელია ზუსტი პროგნოზის გაკეთება, განსაკუთრებით მომავლის შესახებ."
- "ექსპერტი არის ადამიანი, რომელმაც ყველა შესაძლებელი შეცდომა დაუშვა ძალიან ვიწრო სფეროში."
- "არასდროს ილაპარაკო იმაზე სწრაფად, ვიდრე ფიქრობ."
- "ზოგიერთი საგანი იმდენად სერიოზულია, მათზე უნდა იცინოთ."

გან **ზოგიერთი, არც ეწინააღმდეგება ცდისეულ ცოდნას**. ამ

საკითხებს შეიძლება მოკლედ შევეხოთ, მაგრამ იმის შესახებ, თუ რა არის ემპირიული განზოგადება, **მისი შესაძლო არაერთგვაროვანი განმარტებების შესახებ, უკვე დაწვრილებით უნდა ვილაპარაკოთ**, რადგანაც **ამ წარმოდგენებს ეფუძნება ყველა მეცნიერება, მათ შორის, პოლიტოლოგიაც**.

პირველ ეტაპზე ვცადოთ ***ნილს ბორის*** პრინციპის ასეთი სახით ფორმულირება: **ჩვენთვის არსებობს მხოლოდ ის, რისიც გაზომვა და შეფასება შეგვიძლია**. არსებითად, **სისტემური პრინციპიც ესაა. თუ ელემენტებს (ფაქტებს) შორის არ არსებობს კავშირი, მაშინ, უბრალოდ, ვერც დავადგენთ ამ ფაქტებს**. ვიცით მხოლოდ ის, რაც რაღაცნაირად ერთმანეთთან და ჩვენთანაა დაკავშირებული.

სწორედ ეს არის ის, **რაც სინამდვილეში არსებობს და, რაც არის შესწავლის საგანი, მეცნიერების საგანი**. ამავე დროსაც, **ეს ყველაფერი ჰიპოტეზად რჩება, თუმცა კი უდევს საფუძვლად ჩვენ პრაქტიკულ საქმიანობას**.

გავიხსენოთ, რომ ***ნიუტონის*** კანონებიც კი სწორია მხოლოდ ხანდახან, გარკვეულ პირობებში, **ხოლო მატერიასა და ენერგიას შორის განსხვავებულობის სწორი ფორმულირება დღემდე ვერ მოვახერხეთ.**

ძალიან მოკლედ, ამ მომენტებზე მინდოდა თქვენი ყურადღების გამახვილება, მომენტებზე, რომლებსაც ეფუძნება თანამედროვე საუნივერსიტეტო ჰუმანიტარული განათლება და რომლებიც გვიჩვენებს მათ პრინციპულ განსხვავებს სასკოლოსგან.

ფაქტების არა დაზეპირება, არამედ განვითარების ლოგიკის საფუძვლებში ჩაწვდომა. უფრო სწორად, ამ

ლოგიკის ჩვენეული ხედვა, რომელიც მოგვცემს შესაძლებ-ლობას ვიპოვოთ გამოსავალი მძიმე ვითარებიდან და შეცდომები ნაკლებად დავუშვათ.

საფიქრალს რა გამოლევს

მინდა შევეხო კიდევ საკითხთა წრეს, რომლის გათვალისწინება, ჩემი აზრით, **აუცილებელია** პოლი-ტოლოგისთვის და, საერთოდ, ჰუმანიტარისთვის.

პირველი. ძნელი იქნება თანამედროვეობის გაგება, მით უმეტეს, ჰორიზონტს იქით გახედვა, თუ თვალი, მაინც არ გადავავლეთ ადამიანის, როგორც ბიოლოგიური სახეობის, მისი კულტურის, მთლიანად ცივილიზაციის ჩამოყალი-ბების პროცესს.

უნდა ვიცოდეთ ბიოსფეროს თვითორგანიზაციის პროცესის წყაროები და თავისებურებები, რომლებმაც შექმნეს კიდეც ადამიანი. ჩვენ ძალიან ბევრი, ჯერ კიდევ, არ ვიცით (ამაზე თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ, მაგალი-თად, მთლიანობაში მაკრო-მიკრო სამყაროზე, რომ არაფერი ვთქვათ, ამ ჩვენ საცხოვრებელ დედამიწაზეც კი ოკეანის მხოლოდ 10 %–ია შესწავლილი).

მაგრამ, რაც უკვე ცნობილია, მას უნდა დავეუფლოთ. მაგალითად, ვიცით, რომ განვითარების მშვიდ პერიოდებს ცვლიდა გარდაუვალი კატასტროფები, რაც სრულიად ახალ მიმართულებას აძლევდა განვითარების გზებს. ვიცით, მათი პრინციპულ განუჭვრეტობის შესახებაც და სხვა.

მეორე. საზოგადოება დაიბადა ჯოგიდან, ხოლო ადამიანი – მტაცებელი მონადირისგან. ე.ი. გვინდა თუ არა,

ჩვენ ვერ მოვიცილებთ ბიოსოციალურ კანონებს, რომლებიც მართავდნენ ჯოგის განვითარებას მილიონი წლების განმავლობაში.

ისინი ჩვენშია, ეს კანონები კოდირებულია ჩვენს გენეტიკაში. და მხოლოდ საზოგადოების, მისი კოლექტიური მეხსიერების, სწავლების განვითარების ჩარჩოებში შეგვიძლია მათ დავუპირისპიროთ ადამიანური თვისებები. ისიც არა უცბათ. საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძვლები ბიოსოციალურმა კანონებმა შექმნეს, მაგრამ დღეს ისინი ადამიანისთვის საფრთხეს წარმოადგენს.

მესამე. მე მგონი, რომ არ ღირს ***ზიგმუნდ ფროიდითაც*** (Sigmund Freud, 1856-1939) და „ფროიდისმაგვარებითაც“ ზედმეტად გატაცება. ფროიდმა არ იცოდა გენეტიკა და ვერც იმას წარმოიდგენდა, თუ როგორ და რანაირად ახდენს კოდირებას ნუკლეინის მჟავები და მეხსიერების სხვა აგენტები.

ამიტომაა ასე მნიშვნელოვანი გავიგოთ, თუ როგორ ფორმირდება ზნე-ჩვეულებათა სისტემა (ზნეობა და მისი განსხვავება მორალისაგან), რომლის კოდირებაც ხდება აღზრდითა და განათლებით. ეს უკვე სულ სხვა მექანიზმებია, გენეტიკური მეხსიერებისგან თვისობრივად განსხვავებული.

მეოთხე. სულიერი სამყაროს ფენომენი, ეს არის ევოლუციური განვითარების ეფექტი, მაგრამ არა ბიოლოგიურის, არამედ საზოგადოებრივი განვითარების. აქ შეიძლება მაუგლის ტიპის მაგალითებიც მოვიშველიოთ და ავხსნათ, თუ რატომ იყო შეუძლებელი მისი ადამიანად ჩამოყალიბება. საინტერესოა იცოდა კი ეს ფროიდმა?

მეხუთე. აუცილებელია ვისაუბროთ კომუნიკაციურობის და ინტეგრაციულობის საფუძვლზე, როგორც სისტემის წარმომქნელ საწყისებზე, საზოგადოების ჩამოყალიბების შესახებ.

მეექვსე. მნიშვნელოვანია კულტურათა მრავლობითობის ფენომენის ახსნაც, როგორც საზოგადოების სტაბილურობის გარანტისა, როგორც ბიოლოგიური მრავალფეროვნების ანალოგისა. ამისთვის შეიძლება მაგალითად მოვიყვანოთ ***ჟან-ჟაკ რუსოს*** მსჯელობანი და გავარკვიოთ, სად იყო ის მართალი და სად მტყუანი.

მეშვიდე. კიდევ ერთი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც თანამედროვე ცივილიზაციის წინაშე წარმოიშვა. ინფორმაციული ტექნოლოგიების ფართო დანერგვამ კაცობრიობას გაუჩინა ცოდნის – გამოცდილების დაგროვებისა და დაგროვილი თეორიული თუ პრაქტიკული ცოდნის გამოყენების პრობლემა. ამიტომ დღითი დღე სულ უფრო იზრდება ცოდნის ეფექტური გამოყენების, ცოდნის მართვის მნიშვნელობა ინფორმაციულ საზოგადოებაში.

ინფორმაციის მოცულობა უკვე ყოველწლიურად ორმაგდება (ხვალ ეს დრო წარმოუდგენლად შემცირდება), ხდება „ინფორმაციული აფეთქება“, მაგრამ მთავარი მხოლოდ ინფორმაციის რაოდენობრივი ზრდა არ არის, მთავარია ის ახალი ინტელექტუალური ტექნოლოგიები, რომლებიც ყოველწლიურად არევოლუციონირებენ საკუთარ თავს და „ცოდნით ცოდნის“ მოპოვების გზით ინფორმაციას და ცოდნას აქცევენ ერთ-ერთ ისეთ მთავარ სოციალურ

ღირებულებად, რომელიც საზოგადოებას აერთიანებს და მას წარმოების ძირითად პროდუქტად და საქონლად აქცევს.

ცნობილი ამერიკული კომპანიის Arthur Andersen LLP-ის ანალიტიკოსების შეფასებით, ცოდნის მოცულობა, რომელიც კაცობრიობის განკარგულებაშია, ორმაგდება ყოველ ხუთ წელიწადში. 2020 წლისთვის კაცობრიობის ცოდნა გაორმაგდება ყოველ 72 დღეში. მომავალი თაობა ინფორმაციული თვალსაზრისით, ჩვენგან განსხვავებით, სრულიად სხვა რთულ გარემოში იცხოვრებს. ამ კომპანიამ კიდევ ერთი



ნორბერტ ვინერი

(Norbert Wiener; 1894-1964) ამერიკული მათემატიკოსი. ფუნდამენტურ ნაშრომში "კიბერნეტიკა" მოგვცა ახალი მეცნიერების, კიბერნეტიკის ძირითადი ამოცანების ფორმულირება.

საინტერესო ფორმულა შემოგვთავაზა: ცოდნა არის ადამიანს პლუს ინფორმაცია, აყვანილი ამ ინფორმაციის გავრცელების საშუალებების ხარისხში.

ამ ბოლო საკითხიდან მინდა განსაკუთრებით გამოვყო ცნებები „ინფორმაცია“ და „კიბერნეტიკა“ (***ნორბერტ ვინერი*** – Norbert Wiener) მით უმეტეს, როდესაც სისტემურ მიდგომებზე ვსაუბრობთ. დღეს ინფორმაციის როლის ახლებურად გააზრება, აგრეთვე ინფორმაციის, როგორც **ცივილიზაციის შემდგომი განვითარების სტრატეგიული რესურსისა და**

მამოძრავებელი ფაქტორის ათვისება და მართვა, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი და აქტუალური პრობლემაა. მას არა მარტო ზოგადმეცნიერული მნიშვნელობა აქვს, არამედ **თანამედროვე ცივილიზაციის შემდგომი ბედის განმსაზღვრელიც არის**. ამის ახსნა ამა თუ იმ ფორმით, უკვე მიგვიყვანს ინფორმაციის გამოსახვის საშუალებამდე, ანუ კულტურამდე, ენამდე და სხვა.

ასეთი მიდგომა საშუალებას მოგვცემს გავიგოთ მეხსიერების შინაარსობრივი აზრი, არა მარტო გენეტიკურის, არამედ საზოგადოებრივისაც. რა თქმა უნდა, ასეთი საკითხების ახსნა ძალიან ძნელია, ჩვენ კიდევ მოგვიწევს მათი გამოსახვის საჭირო ფორმის მოძიება შემდგომი ლექციების პროცესში. ამ საკითხებზე მსჯელობა განსაკუთრებით თანამედროვე პირობებშია აუცილებელი. ახლა იწყება ცივილიზაციის საფუძვლების გარდაქმნა, ასევე ჰუმანიტარული მეცნიერებების არსისაც.

ლაპარაკი ასევე აუცილებელია **კომპრომისების** შესახებაც. უდავოდ ურთულესი საკითხია. ტყუილა კი არ იყო, რომ მარქსისტები და კომუნისტები კომპრომისებზე მსჯელობას ყოველთვის გაურბოდნენ. ისინი ამჯობინებდნენ ლაპარაკს წინააღმდეგობების გადაჭრისა და რევოლუციების შესახებ და გვერდს უვლიდნენ და ყურადღებას არ ამახვილებდნენ მათი შედეგების არაპროგნოზირებადობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე პოლიტიკურმა მეცნიერებამ მნიშვნელოვანი თეორიული მასალა და დიდი პრაქტიკული გამოცდილება დააგროვა, მაინც ვერ შეიქმნა პოლიტიკური კომპრომისის ჩამოყალიბებული კონცეფცია,

პირიქით, კომპრომისი საზოგადოებაში თანდათან კარგავს აბსტრაქტულ-თეორიულ ხასიათს და სულ უფრო ინსტრუ-მენტული ხდება.

გაკვრით ზოგიერთ საჭირბოროტო საკითხზე ანუ „ორღობის“ გადასარჩენად

თუ პოლიტიკაში დააპირებთ ჩართვას ან საქვეყნო საქმის მართვის პროცესებში ჩაერთვებით, უნდა იცოდეთ, რომ იმ დღიდან თქვენთვის პირველადი, ხდება ქვეყნისა და ხალხის სამსახური, ხოლო მეორადი - საკუთარი მე. შესაბამისად, სახელმწიფო ინტერესების დაცვა თქვენგან მოითხოვს თავდადებას, გარკვეულ მსხვერპლსაც - პირადი, ოჯახური ან პარტიული ინტერესები უკანა პლანზე ინაცვლებს. აზროვნება უკვე მოგიწევთ სხვა მასშტაბებში, სივრცეში და დროში.

მაგალითად, თქვენ შეგიმჩნევიათ, რომ ზოგიერთი ადამიანი „საკუთარი სოფლის ორღობის“ იქით ვერ იყურება, ვერ ამჩნევს პრობლემებს, რომელიც შეიცავს გლობალურ სიკეთეებს ან საფრთხეებს... მართვის პროცესში უნდა შეგეძლოთ გონებით ამ „ორღობიდან“ გასვლა და ჩვენი პლანეტის ზემოდან გადახედვა, მიმდინარე პროცესებისა და ტენდენციების შესახებ ინფორმაციის აკრეფა, გაანალიზება, საკუთარი ქვეყნის სახელმწიფო ინტერესების რელიზების ოპტიმალური გზების დასახვა...

პრობლემები მრავალია, მაგრამ მოდით, მაგალითისა-თვის, ერთ კონკრეტულ საკითხს შევეხოთ.

მთელ მსოფლიოში და, მათ შორის, საქართველოშიც დღეს ძალიან თვალშისაცემია ლგბდ-ს (ასევე, მარიხუანი-ზაციის, სექსრობოტების და სხვ.) თემით სპეკულირება, მის წინააღმდეგ ბრძოლისა და მისი მორალური თუ სამართლებლებრივად არნახულად წახალისების პროცესები. პრობლემა, რომელიც აშკარად დიდ საფრთხეს უქმნის მცირერიცხოვანი ერებისა და ხალხების არსებობის პერსპექტივას. უზარმაზარი ტალღაა აგორებული და წალეკვით ემუქრება მრავალსაუკუნოვან ტრადიციულ ღირებულებებს. რა ხდება? თუ „ორღობიდან“ გამოვალთ და უფრო ფართო სპექტრში განვიხილავთ ამ პრობლემას, აშკარაა, რომ მთლად სტიქიურად წარმოშობილი არ უნდა იყოს ეს პრობლემა, უფრო სისტემურად მართულ პროცესებთან უნდა გვქონდეს საქმე.

ლგბდ-ს დაგეგმილ ფართოდ გავრცელებას რა შედეგები შეიძლება მოყვეს? პირველ რიგში, მოსახლეობის ბუნებრივი მატების შემცირება. ერთსქესიანთა სიყვარული და ქორწინება ბუნებრივი შობადობის პროცესს გამორიცხავს. ამ დროს, ჩვენ ვიცით, რომ კაცობრიობის არსებობის პერსპექ-ტივას კატასტროფას უქადის დედამიწაზე უკონტროლო ჭარბი მოსახლეობა და საარსებო საშუალებათა უკმარისობა!

ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში დედამიწაზე ცხოვრობდა 230 მილიონი ადამიანი, 1800 წლის შემდეგ ანუ 1800 წელს – 1 მილიარდი, დღეს უკვე 7 მილიარდს გადააჭა-რბა. ბოლო ორასი წლია ზრდის ტემპი განუზომლად მატულობს და რამდენიმე საუკუნის შემდეგ ეს კაცობრიობი-სათვის წარმოუდგენელი კატასტროფის ტოლფასი იქნება.

ისინი ვინც საკუთარი „სოფლის ორღობის“ იქითაც იყურებიან, ხედავენ მთლიანად პლანეტის წინაშე მოსალოდნელ საფრთხეებს და ფიქრობენ მათ თავიდან ასაცილებლად წინასწარ მიიღონ ზომები.

მაგალითად, ***თომას მალთუსმა*** (Thomas Robert Malthus; 1766–1834) ჯერ კიდევ 18-ე საუკუნეში გააფრთხილა კაცობრიობა მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. მაგრამ მან,

თომას მალთუსი

Thomas Robert Malthus (1766 - 1834)

ინგლისელი მეცნიერი, დემოგრაფი და ეკონომისტი. ავტორი თეორიისა, რომლის მიხედვითაც მოსახლეობის არაკონტროლირებადი ზრდა დედამიწაზე გამოიწვევს შიმშილს

ამასთან, ჰუმანური თვალსაზრისით, ბევრი მიუღებელი და უმართებულო შეხედულება გამოთქვა (ომების წახალისება და სხვ.).

ამ ასპექტში თუ განვიხილავთ საფრთხის თავიდან აცილების ძიების პროცესებს. მაშინ გასაგები უნდა იყოს, რომ „მსოფლიო მამების“ მიერ შემოტანილი ლგბდ-ს პროექტი არის მალთუსის თეორიის ჰუმანიზებული ერთ-

ერთი სახესხვაობაა. ამიტომ ხდება ლგბდ-ს გაფეტიშება, ერთსქესიანთა ქორწინების წახალისება (გამრავლების შეფერხების გარკვეული ხელშეწყობა), დიდი პოლიტიკის რანგში აყვანა...

ამავე ასპექტში, ბიზნესინტერესებთან ერთად, შეიძლება მოვიაზროთ სექსთოჯინების სრულყოფისა და მასობრივად დანერგვის, ასევე, ინტერნეტ სექსის

ტექნოლოგიურად გაუმჯობესების პროცესებისათვის ხელშეწყობა და წახალისება. მაგალითად, იაპონურმა კონპანია Oriental-მა შექმნა მომავლის სექსთოჯინა, დამამზადებლების განცხადებით ვინც ამ თოჯინას შეიძენს **აღარასდროს დაებადება რეალურ ქალთან ურთიერთობის სურვილი**. კომპანიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ გავიდნენ რეზინის თოჯინის დამზადების ახალ ეტაპზე,

თოჯინას (განსაკუთრებით კანს და თვალებს) პრაქტიკულად ვერ განასხვავებთ ნამდვილი ქალისგან.

ახალი სუპერრეალისტურ თოჯინას მწარმოებლებმა "ჰოლანდიელი ცოლი" დაარქვეს. მაღალხარისხიანი მასალა რისგანაცაა ის დამზადებული ძალიან გავს ნამდვილ კანს და 100%-ით უსაფრთხოა ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

თვალებზე საუბრისას ყველას გაგვიგონია: ის



ახლომხედველია, ეს შორსმხედველიო.

მოვლენებისა და პროცესების ანალიზის დროსაც გამოვლინდება ხოლმე აზროვნებით ახლომხედველი და შორსმხედველი ადამიანი? ანუ ზოგი სტრატეგიაში რომ ხედავს (აზროვნებს, აანალიზებს), ზოგი მაგარია დღევანდელი დროის მონაკვეთში...

ვაცნობიერებ რა არსებული პრობლემის არსს...

ფიქრობ, რომ ამ მსოფლიო გლობალურ პროცესს ჩვენ ვერანაირად ვერ შევაჩერებთ, მაგრამ მცირერიცხოვანი ერის (რომელიც, ამასთან, გამრავლების თვალსაზრისით, ისედაც კატასტროფის წინაშეა) ეროვნულმა ხელისუფლებამ ყოველგვარი აჟიოტაჟების გარეშე, გონივრული პოლიტიკის გატარებით (არც მსოფლიო გადავიკიდოთ და ჩვენი საქმეც ხმაურის გარეშე ვაკეთოდ...) აგვაცილოს საფრთხეები და ამ პროცესებიდან ჩვენი ეროვნული სხეული, რაც შეიძლება ნაკლები დანაკარგებით ატაროს წინ, განვითარების გზაზე.

პოლიტოლოგიური კარიბჭე

ახლა რაც შეეხება **ზოგადად პოლიტოლოგიას**.

სალექციო კურსში უნდა შეისწავლოთ შემდეგი საკითხები:

- პოლიტიკური სისტემები;
- პოლიტიკური ხელისუფლება;
- პოლიტიკური ელიტა და ლიდერი;
- პოლიტიკის სამოქალაქო განზომილება;
- პოლიტიკური მენეჯმენტი;
- პოლიტიკური მარკეტინგი;
- სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირება;
- ავტორიტარული და ტოტალიტარული სახელმწიფოები;
- პოლიტიკური იდეოლოგიები;
- პოლიტიკური ინსტიტუტების ფუნქციონირება;
- ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფა;
- პოლიტიკური კონფლიქტები;
- პოლიტიკური გლობალისტიკა;
- საინფორმაციო-პოლიტიკური ტექნოლოგიები;
- საერთაშორისო ურთიერთობები;
- ინფორმაციული და ინტელექტუალური ტექნოლოგიების თეორიული პრობლემები და სხვა საკითხები.

ასევე ყურადღება გამახვილდება პოლიტიკური მეცნიერების გამოყენებით ასპექტებსა და ტექნოლოგიებზე. მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა თანამედროვე საქართველოში პოლიტიკური სიტუაციის ანალიზსა და საზოგადოების პოლიტიკური ტრანსფორმაციის პარადიგმებს (ცხადია, არა რომელიმე პარტიის პოზიციიდან, რადგანაც პირა-

დად ჩემთვის ყოვლად წარმოუდგენელია პოლიტოლოგიის ლექტორი იყოს რომელიმე პარტიის წევრი).

იმედი მაქვს, სპეციალობასთან ერთად, დაეუფლებით პოლიტიკური პროცესის მართვის ტექნოლოგიებს, შეისწავლით ზოგადსაკაცობრიო და ქართულ ეროვნულ პოლიტიკურ მემკვიდრეობას, გამოგიმუშავდებათ სახელმწიფოებრივი მართვისა და დამოუკიდებელი პოლიტიკური აზროვნების, პოლიტიკაში რაციონალური არჩევანის უნარი.

სწავლების მეთოდს რაც შეეხება, ვერბალურის გარდა, თემის ხასიათიდან და სიტუაციიდან გამომდინარე გამოვიყენებ, როგორც დისკუსია-დებატების, ისე ახსნა-განმარტებითი, შედარებითი ანალიზისა და ჯგუფური მუშაობის მეთოდებს ჩემი მუშაობის შედეგს ვზომავ იმის მიხედვით თქვენგან წამოსული დადგება თუ არა კითხვების კორიანტელი...

და, ვაი ჩემს თავს, თუ თქვენში კითხვებს ვერ გავაჩენ...

მინდა თქვენც გირჩიოთ პოლიტოლოგიის შესწავლის პროცესში გამოიყენეოთ აპრობირებული მეთოდები. მაგალითად, ეფექტურია „აქტიური გახსენების“ (active recall) მეთოდი, რომლის შესახებაც 2011 წელს ამერიკელმა ***ჯეფრი კარპიკმა*** (Jeffrey D. Karpicke) სამეცნიერო ნაშრომი გამოაქვეყნა. იგი წაკითხულის ხანგრძლივი დროის განმავლობაში დამახსოვრების საუკეთესო მეთოდია, რაც გულისხმობს გონების აქტიურ სტიმულირებას სწავლის პროცესში. მაგალითად, როცა კითხულობთ ტექსტს პოლიტიკის არსზე ნაცვლად იმისა, რომ მრავალჯერ წაიკითხოთ, უმჯობესია, ერთხელ ყურადღებით წაკითხვის

შემდეგ გადადოთ წიგნი და საკუთარ თავს დაუსვათ შეკითხვები წაკითხულიდან. მაგალითად, როგორი იყო არისტოტელეს თვალსაზრისი პოლიტიკის შესახებ ან როგორია პოლიტიკური პროცესის ახსნის ***დევიდ ისტონისეული*** (David Easton) ანალიზის სისტემის მოდელის ძირითადი მახასიათებლები. მოკლედ, ამა თუ იმ ტექსტის მრავალჯერ წაკითხვა სულაც არ ნიშნავს, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში დაგამახსოვდება წაკითხული. ამისთვის საჭიროა ავარჯიშო გონება, გაიხსენოს ის, რაც თუნდაც ერთხელ წაიკითხე.

არსებობს სხვა მეთოდიც, წაკითხულის დასამახსოვრებლად საჭიროა კარგად გაიგო ტექსტი და კითხვისას გამოიყენო ე.წ. კონცეპტუალური რუკების (Concept mapping) მეთოდი, რაც გულისხმობს კითხვის დროს ვიზუალიზაციას – გრაფებისა და ჩანაწერების კეთებას. იგი დაგეხმარებათ იდეებისა და ინფორმაციის კატეგორიებად დაყოფასა და გონებრივ იერიშში.

ასევე, შეიძლება აქცენტი გაკეთდეს იმ მეთოდზე, რომელიც მიზეზისა და შედეგის ურთიერთდამოკიდებულების ჩვენებაზე ამახვილებს ყურადღებას და სხვ.

აქვე ის ფაქტიც უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკისმცოდნეობის სწავლებაში მნიშვნელოვან მოვლენად იქცა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე დაინერგილი, ქართული ბრენდი - მულტი და ინტერდისციპლინური სასწავლო-სამეცნიერო ღონისძიებათა პროექტი „პოლიტიკა სამსჯავროზე“. ეს არის

ახალგაზრდების დაინტერესებისა და მათი სასწავლო-სამეცნიერო პროცესში ხალისით ჩაბმის და, ამავე დროს, მათი ცოდნის შეფასების საინტერესო, ახლებური და ეფექტური ფორმა. პროექტში ჩართული უფროსკლასელებისა და სტუდენტების მიერ შეძენილი მრავალმხრივი ცოდნისა და უნარების სრულყოფილად შეფასებისათვის გამოყენებულია სრულიად ახალი შინაარსისა და დატვირთვის მქონე იმიტირებული სამსჯავრო (სასამართლო პროცესი), რითაც მოიძებნა გამოცდის ჩაბარებისა და მისი შეფასების თვალსაჩინო და ეფექტური ფორმა. ეს კი იძლევა საშუალებას უფროსკლასელებმა (სტუდენტებმა) ცოდნა და უნარები გამომაჟღავნონ საინტერესოდ, მრავალმხრივად და მრავალასპექტში, ასევე, განუვითაროს მათ სასწავლო, კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობისა და კომუნიკაციური უნარ-ჩვევები (წყაროების მოძიების, ანალიზის, სასამართლო პროცესში მონაწილეობის, საჯარო გამოსვლისა და დებატების ხელოვნების, ქცევისა და ურთიერთობის ეთიკის, გუნდური მუშაობის და სხვ.), ამასთანავე, კვალიფიციურმა საგამოცდო კოლეგიამაც სრულყოფილად შეძლოს მისი შეფასება. პროექტი ხორციელდება სხვადასხვა ფორმატში: სტუდენტებისათვის (საფაკულტეტო, უნივერსიტეტშორისი, ინგლისურენოვანი, რუსულენოვანი) და უფროსი კლასელებისათვის (სასკოლო). სწავლების სხვადასხვა საფეხურისა და სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტები, აგრეთვე სკოლებიდან უფროსკლასელები სწავლობენ და იკვლევენ თუ რამდენად

შეესაბამებოდა ცნობილი პოლიტიკური პირების (პოლიტიკური პარტიების) მიერ გატარებული პოლიტიკა ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს. ხდება პოლიტმეცნიერებების, სამართლის, საერთაშორისო ურთიერთობების, ისტორიისა და სხვ. სპეციალობების ჰარმონიული ურთიერთკვეთა და ერთგვარი შერწყმა. ამ სამეცნიერო სპეციალობების თეორიულ-პრაქტიკული სინთეზისა და უნივერსალიზაციის შედეგები ხელს უწყობს მრავალმხრივად განვითარებული, კონკურენტუნარიანი, მაღალი დონის სპეციალისტის მომზადებას. პროექტი ასევე ითვალისწინებს პოლიტიკური მოვლენის მყარი რაოდენობრივი მახასიათებელის, თვისობრივ ცვლილებებზე რაოდენობრივ მახასიათებელთა კავშირის დადგენის, პოლიტიკური მოვლენის პარამეტრიზაციის, პარამეტრის მნიშვნელობის, პოლიტიკის ხარისხის, ქვეყნის ეროვნული ინტერესების განსაზღვრის არგუმენტირებული კრიტერიუმების და პარამეტრების, მათი მნიშვნელობის, ზღვრულობის პროცენტული გამოსახულების, წონადობის დადგენის კვლევით პროცესებს.

გამარჯვებულები!

ჰო, კინაღამ დამვიწყდა თქვენთვის მომელოცა გამარჯვება, რომელიც მოიპოვეთ მისაღებ გამოცდებზე, რამაც სტუდენტის სახელი მოგაპოვებინათ.

იყო სტუდენტი ეს დიდი ბედნიერებაა და ამავე დროს საამაყოც. ადამიანის ცხოვრებაში ერთ–ერთი ყველაზე შთამბეჭდავი ხანა, შემეცნების სამყაროში აღმასვლის დიადი და-



საწყისის ხანა, საკუთარი ცოდნის „ბაგაჟით“ დამოუკიდებელ პიროვნებად ჩამოყალიბებისა და საზოგადოების ინტელექტუალური ნაწილის წევრად გაცნობიერების ხანა...

ვერ შეგპირდებით, რომ ლექციებზე ვიქნები ყოველთვის სერიოზული და გაუცინარი პროფესორი... მთლად <u>იუმორის გარეშე</u> გაგვიჭირდება და მოსაწყენიც გახდება

სემესტრის განმავლობაში ჩვენი მრავალსაათიანი ურთიერთობა...

ჰო მართლა, მისაღებ გამოცდებზე გამარჯვებულებო, **ყველაზე დიადი გამარჯვება თქვენ უფრო ადრე მოიპოვეთ** და ეს უნდა გააცნობიეროთ, არ უნდა მიაფუჩეჩოთ, **რადგან დაგეხმარებათ სამყაროში <u>სიცოცხლის ფორმების არსის</u> გაცნობიერების და მასში ჩაწვდომის სწრაფვის უსასრულო გზაზე**... რატომღაც **<u>ჩვენი არსებობის ამ პერიოდზე</u> ყურადღებას ნაკლებად ან საერთოდ არ ამახვილებენ**...

აქ ყველანი გამარჯვებულები ვართ და ეს **პირველი გამარჯვება მოვიპოვეთ მაშინ**, როდესაც **სიცოცხლის სხვა ფორმით** ძალიან მცირე ხნით მოვევლინეთ სამყაროს.

არ დაგავიწყდეთ, ჩვენი არსებობის გარიჟრაჟზე, თითოეულ ჩვენგანს 600 მილიონამდე მეტოქე ჰყავდა და ვაჯობეთ მათ სამკვდრო-საციცოცხლო ბრძოლაში.

დიახ, ვგულისხმობ არსებას, რომელშიც აკუმულირებულია ადამიანთა მოდგმის გვარისა და ჯიშის წინა თაობების თვალის ფერისა თუ სულიერი თვისებების მატარებელი აურაცხელი გენი. ვგულისხმობ შეუიარაღებლი თვალით უხილავ, იმ წარმოუდგენლად პაწაწკინტელა, ძლიერ, ჯანმრთელსა და ჯიშის გაგრძელებისთვის გმირულად მებრძოლ სპერმატოზოიდს, რომლის უაქტიურესმა ბრძოლისუნარიანობამ და აურაცხელ მეტოქეზე გამარჯვებამ თითოეული ჩვენგანის არსებობა განაპირობა.

როგორ დაიწყო? იმ მომენტში საათში 70 კილომეტრი სიჩქარით გამოტყორცნილ მასაში 600 მილიონამდე მეტოქემ აიღო სტარტი.

თქვენ იცით, რომ მათ დრო ძალზე ცოტა აქვთ მიცემული, ამ მოკლე ხანში ვინც შეძლებს ახალი სიცოცხლის დაწყებას, მისი ჯიში გაგრძელდება და დიდხანს იცოცხლებს. პირველი განსაცდელი საშოში ელოდება, თუ სწრაფად არ დააღწია თავი იქ არსებულ მომწამვლელ გარემოს, დაიღუპება რამდენიმე საათში. ხოლო საშვილოსნოში მოხვედრილი მხოლოდ 3 დღე იცოცხლებს, ბოლოს, თუ შეაღწია კვერცხუჯრედში, მაშინ შეიძლება 100 წელიწადზე მეტიც კი იცოცხლოს.

დიახ, სტარტიდან სულ 20 სანტიმეტრია გასავლელი, მაგრამ პირველსავე წინააღმდეგობის (საშოში) გადალახვისას რამდენიმე მილიონი მეტოქე იღუპება, შემდეგი წინააღმდეგობისა და დინების წინააღმდეგ მოძრაობისას, კიდევ რამდენიმე მილიონი, ბოლოს, ყველაზე ძლიერი, რამდენიმე ათასიღა რჩება (საშვილოსნოში) და აქ უკვე მოხერხებაზე, ძიების უნარზე და სისწრაფეზეა დამოკიდებული – თუ მეტოქემ მიგასწრო, იღუპები. ამიტომ, რაც შეიძლება, სწრაფად უნდა განსაზღვრო სანუკვარი მიზნის ადგილსამყოფელი, აიცილო წინააღმდეგობები და პირველი მიიჭრა კვერცხუჯრედთან, რომელშიც დაიწყებ ახალ სიცოცხლეს... დიახ, თითოეული თქვენგანის გენმა 600 მილიონი მეტოქე დაამარცხა და მოიპოვა გამარჯვება...

მაშ, გამარჯობათ, გამარჯვებულებო! მოხარული ვარ თქვენი გაცნობის... შემდეგ საათზე, უკვე ვიწყებთ პოლიტოლოგიის შესწავლას...

წარმატებას გისურვებთ, პოლიტიკის მეცნიერებაში დაგროვილი ცოდნის ათვისებაში!

პირთა სახელების საძიებელი

ბარათაშვილი ნიკოლოზ, 26
ბორი ნილს, 28, 29
გაბისონია ირაკლი, 2
ვაჟა–ფშაველა, 25, 27
ვინერი ნორბერტ, 33
ისტონი დევიდ, 42
კარპიკი ჯეფრი, 42
მალთუსი თომას, 37,38
ნიუტონი ისააკ, 6, 9, 29
პითაგორა, 5, 6, 7
როდენი ფრანსუა, 12
რუსთაველი შოთა, 8, 10
რუსო ჟან–ჟაკ, 32
ფლამარიონი კამილ, 20, 21
ფროიდი ზიგმუნდ, 31
ქვაჩახია ვენორ, 8,9
შუბითიძე ვაჟა, 2

გამომცემლობა „მერიდიანი“,
ალ. ყაზბეგის გამზ. №47
E – mail: meridiani777@gmail.com ტ. 239-15-22



ჰენრი კუპრაშვილი

* საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი; პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი. გადამდგარი პირველი კლასის სახელმწიფო მრჩეველი. ვიცე-პოლკოვნიკი; ომის ვეტერანი.

* სპორტი: საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე; მსოფლიო სრუტეთა ახალი, უნიკალური კოლხური წესით გადაცურვის ფუძემდებელი; მსოფლიო ჩემპიონი თანამედროვე ხუთჭიდის ბიატლში; მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი ზამთრის (ყინულჭრილში) ცურვაში.

* ჯილდოები: 1. ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენი; 2. მედლები: ბაირონის (ოქრო, დიდი ბრიტანეთი), „მხედრული მამაცობისათვის“ (საქართველო), „სამაგალითო სამსახურისათვის“ (უკრაინა) და სხვ. წლის ადამიანი — 2002 (გაზეთი „ახალი ეპოქა“).

* მასმედია: მსოფლიო მასმედიის მიერ შერქმეული თიკუნები „ადამიანი დელფინი“ (ტ/კომპანია CNN - სი-ენ-ენ-ი, 17. 02.01, 05.11.02 და სხვ.), „წყლის პრომეთე“, „დარდანელის გმირი“, „სრუტეთა მბრძანებელი“, „კაცი ლეგენდა“ და სხვ.

* მეცნიერი, პედაგოგი და პუბლიცისტი: ავტორი 5 მონოგრაფიის, 7 სახელმძღვანელოსი, 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, პრესაში გამოქვეყნებული 400-ზე მეტი სტატიის, ინტერვიუსა და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული 50-ზე მეტი მოხსენებისა. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 17 სადოქტორო დისერტაცია.

* ავტორი და ხელმძღვანელი საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოში 1996 წელს დაწყებული 2 პროექტისა „დიდგორი“ და „აისი“, ასევე სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე განხორციელებული მულტი და ინტერსიპლინური სასწავლო-სამეცნიერო ღონისძიებათა პროექტისა „პოლიტიკა სამსჯავროზე“.